მ ე ს ხ ე თ ი

წერილი მ. ჯანაშვილისა

დაიბეჭდა ათას ცალად დაზარალებულ მესხთა
სასარგებლოდ

თბილისი
სტამბა „შორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1.
1915

მ ე ს ხ ე თ ი.

1. სახელოვან გეოგრაფოსის ვახუშტის სიტყვით, თავ-დაპირველად მთელს მესხეთს ისე, როგორც დანარჩენ ჩვენ მიწა-წყალს, ეწოდებოდა ქართლი ანუ საქართლო, საქართველო. მესხეთი იყოფებოდა სამ საგამგეოდ.

მისი ერთი ნაწილი ფანავრის ტბიდგან კლარჯეთის მთამდე და შავ ზღვამდე შედიოდა მცხეთ-ქართლის სამფლობელოში და ამ სამფლობელოს ქვემო ნაწილს ეწოდებოდა **შიდა-ქართლი** (მცხეთ-არაგვიდამ ფანავრამდე), ხოლო ზემოს – **ზემო-ქართლი.**

ამ ზემო ქართლს შეადგენდნენ **სამცხე, გურია, ლიგანა, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი და ტაო ანუ ტაოსკარი.**

მეორე საგამგეოდ ითვლებოდა ჯავახეთი, რომელსაც შეადგენდნენ **ჯავახეთი, არტანი** (არდაგანი), **ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი.**

მესამე ერთეულს წარმოადგენდა **კლარჯეთი**, რომელსაც შეადგენდნენ **თორთომი, ხახულ, ისპირი, ფორჩხა და ჭანეთი.**

ყველა ეს ადგილები, გარდა ჭანეთისა, მომწყვდეულია მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში. მაგრამ იყო დრო, მაგ.

მერვე-მეათე საუკუნეში, როდესაც ჩვენი მეფეები ბიზანტი-
ის იმპერატორებს ეცილებოდნენ – არზრუმიც ჩვენიაო.

იმპერატორი კოსტანტინე ძოწითმოსილი სწერს 952 წელს: „ქარ-
თველთა მეფე აშოტმა არტანუჯი დაუთმო იმპერატორს რომანოზ ლაკა-
ენს (920-944 წ.), მაგრამ ქართველმა მეფე გურგენმა და მისმა ძმამ

შეუთვალეს, თუ ჯარს შემოიყვან არტანუჯში, განგიდგებით და სარკი-
ნოზებს, მივემხრობითო. მიიღო-რა იმპერატორმა ესეთი განცხადება
მაშინათვე არტანუჯის ციხიდამ გაიწვია თავისი მეციხოვნეები. ამას წი-
ნად ბასიანი ეპყრათ სარკინოზებს. იმპერატორ ლეონმა (886 – 912 წ.)
გაგზავნა ლაშქარი, რომელმაც აიკლო ბასიანი და თეოდოსიოპოლი
(არზრუმი). ამ იმპერატორსა და მერე ლაკაპენსაც სურდათ დაეპყრათ
ცეცეუმი, რათა მოესპოთ ამ ქალაქისთვის შემლება სურსათი შეეტანა
არზრუმში. მათ აღუთქვეს ქართველთა მეფეს, თუ დაიპყრობ არზრუმს,
შენ გაკუთვნებთო, მაგრამ ქართველებმა ეს არ ისურვეს სიყვარულისა
გამო იმ ქალაქის მცხოვრებლებისა და მიტომაც, რომ ქალაქის დან-
გრევის წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ როდესაც ბიზანტიელებმა ააოხრეს
ხსენებული ადგილები, მოვიდენენ ქართველები და დაიჭირეს ეს მიდამოე-
ბი არზრუმითურთ. მოხდა შერიგება. ბასიანის ნაწილი (არაქსის ჩრდი-
ლოეთის კიდეებიდამ მოკიდებული) დარჩა ქართველებს, ხოლო მეორე
ნახევარი (სამხრეთისა) საბერძნეთს.

ჭანეთს ანუ **ლაზისტანს** დღეს უჭირავს ვიწრო ზო-
ლი ჭანეთის-მთასა და შავ-ზღვას შორის ტრაპიზონამდე, მა-
გრამ ჭანთა მფლობელობა უწევდა მდინ. ღალისამდე (ჭანურ-
მეგრული **ღალისი** უდრის ქართულს **ღელესი**, ღელის ხევი.
მდინარე).

ჭანთა ასეთი ფართო მოსახლეობით აიხსნება ის, რომ
კოსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა და სხ. ადგილების ბერძ-
ნები, როგორც იუწყება გ. ნადარეიშვილი, დღესაც ტრა-
პიზონ-სამსუნის მთელ მიდამოს ლაზისტანს ეძახიან.

მეფე ღობაზიონის ჟამს (457 – 474 წ.) საქართველოს
დასავლეთ მიჯნად დაიდო, – გამოჩენილ დანიელის შუაკაცო-
ბით, – ხუფათი ანუ ხოფა*). ამ ხოფას იქით არის რიზა, რო-

*) ხოფათი=ხუფთა (ქართ. ცხ. 224,227,1247): დავით აღმაშენებე-
ლმა „სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვით ქუთაისს გარდავიდა...
თთვესა თებერვალსა (1116 წ.) აცნობა ქართლელ-მესხთა, რათა კლარ-
ჯეთს დახვდნენ პაემანსა, და თვით შიდითა სპითა **ხუფთით** პოროხის პი-
რი წარვლო... ბასიანამდე (ქ. ცხ. 245). №397: „იყო მათ დღეთა
შინა: მოვიდა ღობაზიანოს მეფე აფხაზთაჲ ნეტარისა ლეონ მე-

მლის დასავლით ჭანეთის მთიდამ ჩამოვარდების მცირე მთა
ზღვამდე და ეს მთა საზღვრავსო, ამბობს ვახუშტი, საქარ-
თველოსა და საბერძნეთს, აქვე არისო რკინის-პალო და სა-
ტყეპელა და აქვე მეფე არჩილმა († 718 წ.) ააშენაო ციხე,
ალბად, რიზა. მის გაყოლება ხაზი ჭოროხის სათავის მთე-

ბამდე შეადგენს საქართველოში შემოსასვლელ კარს და იწო-
დება საქართველოს ყელად, რომელსაც ოსმალთა მფლობე-
ლობაში გადაერქვა გურჯი-ბოღაზი (=ქართლის ყელი).

ზედა-პირი მესხეთისა უსწორ-მასწოროა, ღვლარჭნილი,
კლდოვან-ღრატოვან-ღრიღლოვანი, მთიან-გორიანი. უდიდე-
სი მთებია ფერსათი, არსიანი, მესხის-მთა, პარხალი და ჭა-
ნეთის ანუ პონტოს მთა.

ამისთანა შენობის გამო „მთა-ბარი ახლორებს ესრეთ:
ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა (1/2 საათის) სავალთა არს თოვ-
ლი, და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველ-
ნი ნაყოფნი“ ხარობენ.

ამისგამოვე ადგილ-ადგილ ზამთარი ცივია, დიდ-თოვ-
ლიანი, ხოლო ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულობით
კი ჰავა ზოგან შეზავებულია, ზოგან კი ცხელი, გაუძლისი.
ცივი, გემრიელი და შემრგო წყაროებით მეტად შემკულია
ეს ქვეყანა.

ფისა (457 – 474 წ.) ბერძენთაჲსა, და წარიყვანა იგი მეფემან და აღვი-
და წმიდისა მის (დანიელისა) და იხილა რაჲ უცხოჲ იგი ხილვაჲ და მოქალაქეობაჲ
ანგელოზებრივი, ღობაზიანოს დავარდა პირსა ზედა თვისსა და თქუა გმადლობ
შენ მეუფეო ცათათაო, რამეთუ ქვეყნისა მეფისა მიერ დიდთა საკვირველთა
ხილვად ღირს მყავ მე მონაჲ შენი და მიჩუენე რომელი არა სადა მენახა
ქვეყანასა ზედა“. ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქვეყა-
ნათაჲ დაწყნარებისათვის და **ზღვართა** განყოფისაჲ – სადამდის არს სა-
ბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ აფხაზეთისა სამეფოსაჲ. და უთხრეს წმიდა-
სა და მონასა ღთისასა დანიელს და იგი იქმნა შუამდგომელ მათდა. და და-
დვეს **საზღვრად ციხე ხუფათი.** და აღუთქუეს ურთიერთას მშვიდობაჲ
და სიყვარული ამისითა სიტყვითა. და შემოვიდა მეფე ქალაქად (კოსტან-
ტანტინეპოლედ) და განუტევა ღობაზიონ მამულსა თვისსა.

ყოველი მარცვალი ნაყოფიერებს აქ,თუმცა არა ყველგან.
მრავალნაირი ხილი ხარობს, მეტადრე ფორთოხალი. აქაუ-
რობა შემკულია წალკოტებითა, მტილებითა და სავარდეებით.
მთა და ველი ფშვის შროშნით.

ვახუშტი განაგრძობს: „პირუტყვნი ყოველნი მრავლად,
ნადირნიც, არამედ ქურციკი არა არს. ფრინველნი ური-
ცხვნი, გარნა დურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტ-
ნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქა-
რად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენნი და კარგნი,
ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი
დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა
ამათ შინა, არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელნი ადგილ-
ადგილ მრავალნი და ადგილად არა ეგოდენნი. ფუტკარი
მრავალი, თაფლნი კარგნი და მრავალნი. ადგილად აკეთე-
ბენ აბრეშუმსაცა მცირედ. ხოლო კაცნი და ქალნი არიან
მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-
ტკბილ-მშვენიერად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმარ-
თებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი, არა-
მედ აწე, მაჰმადიანობის გამო, არღარა. ენა საკუთრად აქვსთ

იგივე ქართული...

„**ჭანეთში** კაცნი არიან ხელოვანი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთა, დიდთა და მცირეთა. სარწმუნოებით აწ სრულიად მაჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი და უწყიან ვიეთთამე კვალად ქართული ენაჲ“.

მესხეთის დიდებულები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მონასტრები, სასაფლაო, ციხეები და ყმა-მამულები, ესენი იყვნენ: კავკასიძეები(ამათ ეკუთვნოდა დიდებული პარხალი), სამძივარი (პირველ საუკუნეში ესენი მთავრობდნენ აწყურს. ამათგანივე იყო გამოჩენილი კარავ ჯაყელი (ქ. ცხ. 43;282), ავალიშვილი, სლესარი, ლასურიძე, თაქთირიძე, ხურსიძე (ჩორჩანის მფლობელი), დიასამიძე, ბოცოსძენი, ოლიდასშვი-

ლი, შალიკაშვილი, ქამქამიძე, რჩეულიანი, ფროდი-ანი, უზნაძე, ფანასკერტელი (შემდეგში ციციშვილი), სპასა-ლარნი, ხახულარნი, ანძაველნი, კოპასძენი, თუხარელნი. აქაურებივე იყვნენ გოგიბაშვილნი, ლონგისძენი, ღობერნი, ამატაკიანნი, ბულღადარისშვილნი, ასპანისძენი, დუკისძენი, და სხვ.

მთელს მესხეთში მცხეთის კათალიკოზს ჰყვან-და 13 ეპისკოპოსი. ვურთავ მათ შესახებ ცნობას ძველის ძეგლიდამ:

„მაწყუერელი“ გვირგვინ-ბისონიანი არს. ამისი სამწყსო: ყვიბის-კორტანეთს შუა რომ წყარო დის, იმას ზეით ხეობა და სადგერი, სულ აწყური, დიასამიძის სახლი, და ახალცი-ხის-წყლის გაღმართი გურიის წადგომამდის.

კუმურდოელის სამწყსო: ხერთვის ზეით სულ ჯავახეთი სვეთამდი.

იშხნელის სამწყსო: გურჯი-ბოღაზს აქეთ, სულა თორ-თომი. ტაოს ქვემოთი არტანუჯის თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთ, გაღმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიიმო ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

ანჩელის სამწყსო: სამწყალს აქეთი, ხანცას და ოპიზას შუა დახატულაა, იმას ქვემოთი ნიგალის-ხევი, გაღმა და გა-მოღმართი გონიას საზღვრამდინ .

მტბევარის სამწყსო: დახატულას ზედათი ანა-კერთს აქეთი სულა შავშეთი მიჭიხიანთ ბატონის კათა-ლიკოზის იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა, აჭარა-დანდალათ ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

წურწყაბლის სამწყსო: ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ ხევი ხერთვის ქვეით.

წყაროსთაველის სამწყსო: ზევთი და იმის ზეით პალა კაციო კოლას საზღვრამდინ მტკვარს აქეთი. აქ არტანი.

ერუშნელის სამწყსო: ტალაშოს ზეითი, სულა არტანი კოლის საზღვრამდინ.

ვალაშკერტელის საწყმსო: ყაღზევანს ზეით ვალაშკეთს აქით ხინუსი და დევაბოინს აქეთი.

ანელის სამწყსო: სულა ზირიშტიანი და შირავონი და მაღასბერეთი.

კარელის სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გარდმოღმა გაგჩევანი და კაღზევანი.

ბანელის სამწყსო: სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სულა ოლთისი და ნარუმაკანი.

დადაშნელის სამწყსო: სულა კოლა და ხორტევანი ყარასალზედ მიდგმამდი.

ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია; იმის ხელთ არის ყველა.“

2. მესხი, იმერი, ქართლელი და კახი ძველი დროითგანვე ასე დაუხასიათებია ერის დაკვირვებას:

„პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა ;
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემი რისხისა;
პურადობა და ვაჭრობა
ქართლელს არ ეზრახისა;
ომი და ლხინი კახისა.
მოსაწონია კაცისა“

ესენი თავიანთ განსაკუთრებულ თვისებებით ერთი მეორეს შეავსებდნენ, ამშვენებდნენ. ერთად, ძმურად მოღვაწეობდნენ მშვიდობიანობასა და ბრძოლა-ომის დროსაც. საერთო საქმეს ყოველი კუთხის ქართველი საღმთო შურით, თავდაუზოგველად ეტანებოდა. აგერ სამეფო დროშა გაშალეს.

„შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, **თუში** ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით **ქართლელი**,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, **მთიული**
ბრძოლაში შეუპოვარი,
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი **იმერი** ზრდილობით,
და მშვილდოსნობით **აფხაზი**
გურულ სვან მეგრი მკვირცხლობით ...“ *)

წინ რა დაუდგებოდა დაუძლეველი ამისთანა ერთობას!

ქვეყანა იმოსებოდა საკვირველ შენობებით, მოხატულ-მოჩუქურთმულებით.

ითხრებოდა რუ არხები ურწყავ ადგილების გასანაყოფიერებლად, მწიგნობრობასა და მგოსნობას ფრთა ეშლე-

ბოდა.

ქართველობა შარავანდედით იმოსებოდა და მის იერსა
და ჰანგს პატივით ეპყრობოდნენ კულტუროსანი ერები.

ამ მხრივ ქართველობას მოელოდა უმეტესი ზრდა-განვითარება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დიდებული მესხეთი მის-და უნებურად გამოვარდა საერთო შეწყობილობიდამ და მით შეასუსტა საქართველოს სამეფოს ძარღვის ცემა.

უკუღმა ტრიალი იწყო მონგოლების შემოსევის დროიდამვე. საქართველოს მტრების წაქეზებით განდგნენ მესხეთის ათაბაგები. თავიანთ-თვის ცალკე სამართალიც შემოიღეს (ბექა-აღბუღას კანონები). „მეფე" მზეჭაბუკმა(+ 1516 წ.) ანტიოქიის პატრიარქს დოროთეოსს საათაბაგოს სამღვდელოებაც გამოაყოფინა მცხეთის საკათალიკოსოდამ, და დაუმორჩილა აწყუ-

---

*) დედანში იგივე: ,,გურული, მეგრი მკვირცხლობით".

რის სამიტროპოლიტოს*) რაჲ დღე, ათაბაგები უფსკრულისკენ

*) აქვე ვბეჭდავთ ამ პატრიარქის ეპისტოლეს, რომელიც მიჰყვება მისივე არაბულ ენაზე დაწერილ გრძელ სიგელს (საეკლ. მუზ. № 193): „დიდებაჲ ღმერთსა მარადის ყოვლისა შემძლებელსა და დიდებულს. ამინ. მლოცველი და მოყუარე სულთა თქვენთა წყალობითა ღთისათა დოროთეოს პატრიაქი დიდისა ღთისა ქალაქისა ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა მოგიმცნებ: წყალობაჲ და მშვიდობაჲ და შეწევნა ოჳფლისაჲ ჩუენისა იესოჳს ქრისტეს მიერ თქუენზედა და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა. რომელმან განამტკიცნა წმიდანი მოციქულნი სიონს ქორსა მას ზედა განყოფითა ცეცხლისა ენათათა და მისცა ცნობაჲ ყოველთა ენათა და მათ მიერ მოინადირნა ყოველნი ნათესავნი, ლოცვაჲ მათი და კურთხევაჲ გარდამოვედინ სულთა და ჴორცთა თქუენთა ზედა და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა რომლისა ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამის დიდისა პატრონისა მზე-ჭაბუკის მიერ: რამეთუ მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმა ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებისასა: რამეთუ სადაცა მოიწიოს ჰონე (ცხენი) მაგისი, დათრგუნოს ქუეყანაჲ მტერთა თვინიერ შრომისა მოსცის ღმერთმან ადგილი იგი: ანუ რომელთა იხილონ წუჱრი ჰორლისა მისისა, თჳნიერ კუჱთების ლტოლვით იქმენინ ყოველნი წინააღმდგომნი მისნი: პატიოსნისა და ღთისა მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პატრონისა მზე-ჭაბუკისაგან... სამარადისოდ ყოს ღმერთმან პატივი და დიდებაჲ, ძალი და სიმტკიცე მათი უკუნისამდე. და აღამაღლოს პატივი მისი და ბედნიერ ყოს, და დაანთქნას მტერნი მისნი და მოსცეს ძლევა მათ ზედა მას და ყოველსა მჴედრობასა და ერსა მისსა, და ადიდოს სახელი მისი მზისა და მთვარისაებრ და სრულყოს ყოველი ნებაჲ და წადილი მისი ოჳფალმან და ღმერთმან ჩუენმან იესოჳ ქრისტემან: და გარდამოავლინოს მას ზედა მადლი და კურთხევაჲ მისი, რომელსა უპყრიეს სჯული და მცნებაჲ ღვთისაჲ და სიმართლით ჰმსახურებს ეკკლესიასა და სჯულსა მართლმადიდებელთასა.

მერმე ებრძანა აწყურისა ღთისმშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანის რაჲ გარდაჴდა და თუ რაჲბამნი სასწაულნი აღასრულნა და ვეტყინები სურვილითა და სიყვარულითა მისითა და ვევედრები, რათა მეცა ღირს მყოს ხილვად და თაყვანისცემად მისა: და ესეცა ვითარმედ აწცა წარუვლენიან კაცნი სოფსგუჱრდის(?) და ჩუენიცა ებისკოპოზი ყოფილიყო

მათ წინაშე სახელით გრიგოლ ეპისკოპოზი ბოლოზნისა და მას თვით
განეცადა ყოველი საქმე და თუალითა ეხილა და გულის ჴმაჲ ეყო უს-

მიაქანებდნენ თავიანთ საათაბაგოს. 1626 წელიწადი შეიქმ-
ნა საბედისწეროდ: უარყოფილ იქმნა ქრისტიანობა და მას-
თან ერთად მამა-პაპათა მიერ შემენილი და დაზოგვილი სა-
ქრისტიანო კულტურა. ყველანი გამაჰმადიანდნენ. ეპისკო-
პოსები განდევნეს. წიგნები მოსპეს. სალოცავები შეიძულეს.
საყდრები დააქციეს ან მიზგითებად გადააკეთეს. რის შემუ-
სვრაც ვერ მოახერხეს, დასტოვეს ვერანად... მრავალი მათ-
განი (თითქმის **ნახევარ მილიონამდე**) აიყარა და გადასა-
ხლდა ბრუსას, სამსუნს და სხ. ასე მოგვწყდნენ ეს ერთ-
სისხლ და ერთ-ხორც ძმანები, ჩვენთან ერთად ერთ ენაზე
მოლაპარაკე ქართველები, დიდებულ წინაპრების შვილები.

აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები (ესაია 33, –
13 – 15; იერემ. 50, 39): „ჭალაკთა შინა დაემკვიდრნენ
ურჩხულნი; ქალაქთა შინა აღმოსცენდნენ ეკალთა ხენი, ცი-
ხენი მათნი იქმნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვიდრე-
ბელად სირთა, და შეითხვივნენ ეშმაკნი და ვირ-დევნი .
მუნ განისვენებენ ვირდევნი, მუნ მართვენი ისხნენ გძღა-
რბთა, მუნ შეკრბენ ნადირნი“.

მის შემდეგ მესხეთმა ვერ აღმოაცენა ვერც ერთი მნა-

ჯულოებაჲ მეფეთა და ერისა მათისა: და პატრონისა მზეჭაბუკის ღვთის-
მოშიშებაჲ: და მართლ-მადიდებლობაჲ და ღუთისმოყვარეობაჲ
ყოველივე განგუაცადა და გულისჴმაჲ გჳყო. და ეგრეთვე
მაწყუერლისა სიკეთე და ღვთის მოშიშებაჲ და მართლ-მადიდებლობაჲ
და მეცნიერებაჲ და სჯულთა ღვთისათა კეთილად პყრობაჲ, და დაცვა
მცნებათა ღთისათა. ამისთჳს, ვითარცა ჯერ იყო და სამართალ, მადლითა
ღვთისათა და შეწევნითა დიდისა მოციქულთა თავისა პეტრესითა ვინებეთ
და მას მივათვალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი. რა-
თა ეპისკოპოზნი მისგან ეკურთხოდენ ყოველნივე; და მისსა წესსა და
ბრძანებასა ჰმორჩილობდენ და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმ-
წყსებოდენ. და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევარნი
მისნი წყეულ, და მისდა მიგუიცემიეს მადლითა ღუთისათაჲ ჴელმწიფებაჲ
შეკრვისა და განჴსნისა და რომელნი აკურთხნეს, კურთხეულ იყვნენ, და
რომელნი შეკრნეს, შეკრულ იყვნენ. ამინ.

თობი, მაშინ, როდესაც დანაშთენ საქართველომ აღმოაყვა-
ვილა მთელი რიგი სჯულმდებლებისა, მემატიანეებისა, მეი-
გავ-არაკეთა, პირველ ხარისხოვან მგოსნებისა (გურამიშვი-
ლი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი) და სხ. მწერლებისა და სა-
ზოგადო მოღვაწეთა.

უამათოდ, უწიგნ-უგაზეთოდ, უსკოლოდ, უთეატროდ...
რა ვიქნებოდით დღეს ჩვენ? თუ ამერ-იმერიც იმ ბედ-შავ
1626 წელს გაჰყოლოდა მესხეთის გზა-კვალს, განა დარჩე-
ბოდაღა სადმე საქართველო, ქართული სული?

მაგრამ ჩვენი სატრფიალო მესხეთი თუმცა წარწირულა,

გარნა არ განწირულა დაცემას აღდგომაც მოსდევს. სიკვ-
დილი სიცოცხლესაც ჰშობს. აგრე ხალისდება, მაგ., საარა-
კო ფრინველი ფინიქსი: იწვის, რომ კვლავ აღორძინდეს.

ჭირნახულმა მესხეთმა საკმაოდ დაისვენა, და დასვენე-
ბული ორკეც ძალით შეუდგება იმის ამოვსებას, რაც დაა-
კლდა ამ 300 წლის განმავლობაში. შეუძლებელიაო, ამბობს
ერის სიბრძნე, დამშრალი რუ ისევ არ ახმაურდესო. შეუძ-
ლებელია, რომ მესხებმაც დაივიწყონ თავიანთი ფრიად ნა-
ყოფიერი წარსული, თავიანთ მამა-პაპათა ბრწყინვალე მეს-
ხეთი, სამცხე-კლარჯეთ ჭანეთი, ე. ი. აკვანი საქართველოს
დიდებისა, უძვირფასესი სპეკალი ქართველ მეფე-კურატპა-
ლატების გვირგვინში. მესხეთი ქართველობისთვის ის არის,
– წინსვლა-განათლების საქმეში, – რაც საბერძნეთი კაცო-
ბრიობისათვის.

3. კაცობრიობის ისტორიის განთიადსვე ჩნდება მეს-
ხეთის წარჩინება.

ყოველგვარ მადნეულბის შემუშავებას აქ ეცნობიან
იგეთი მფლობელი ერები, ვით ეგვიპტელები, ფინიკელები,
ბერძნები.

აქეთკენ მოდიოდნენ ბერძენთ გმირები ოქროს საწმისის
გასატაცებლად.

აქვე ნახეს მათ მშვენიერი სასახლეები, რომლის აუზებ-
ში დიოდაო შადრევანად ღვინო, რძე, წყალი. ნახეს მშვე-
ნიერად დამუშავებული ვენახები, ქალებო რომელნიც სხვა
და სხვა ბალახით ამზადებდნენ წამლებს.

აქაური იყო მიტრიდატ დიდი; ჭანის ქალი იყო დედა
გამოჩენილ მეცნიერ-გეოგრაფოსის სტრაბონისა, რომელმაც ქე-
ბით მოიხსენია ივერიის კრამიტით გადახურული სახლები,
საზოგადო დაწესებულებათა შენობები, ერის სიმშვენიერე
და სხვ.

აქაური ქალი იყო დედა ათანასი დიდისა.

აქაური იყო წმ. ნინო, 13 ნი მამანი, კვლავ გრიგოლ
ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი და სხ., დამაარსებელნი პარ-
ხალისა, ტბეთისა, ანჩისა, ხახულისა, ოპიზისა, შატბერდისა,
ზარზმისა ბანასი, ეოშხისა და სხ.

აქ მოღვაწეობდა დიდი მწერალი ბერაი, მიქელ მოდ-
რეკილი, უუდიდებულესი ქართველი ეფთვიმე თარგმანი, გი-
ორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და მრ. სხვა მწერალი
პეტრიწი ფილოსოფოსითურთ.

აქ გამოჩნდა პირველი მგოსანი ფილიპე (X ს.), შემდეგ
ეფრემ მცირე და ბოლოს უკვდავი შავთელი და შოთა რუს-
თაველი.

აქ აღორძინდნენ დიდი მეფეები: – გურამები, აშოტები,
დავითები, ბაგრატები, აქედგან იყვნენ საუკუნო სახსენებელი
კათალიკოზები, მაგ. არსენი დიდი და სხვ.

ტაოელი იყო დიდებული ჩვენი მეფე დავით კურატპა-

ლატი, მამობილი ბახრატ III-ისა. „მიზეზი მყუდროებისა და
კეთილწესიერებისა მთელს აღმოსავლეთში" და განსაცდელი-
საგან მხსნელი კოსტანტინეპოლისა სახელოვან თორნიკეს
გალაშქრებით იმპერატორის მტრების წინააღმდეგ.

მაგრამ განა აქ შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ ყველა
ის ამაგი, რომელიც მესხელებს მიუძღვით ქართველობის წინა-

შე, და თუ გინდ კაცობრიობისაც! რავდენი მარგალიტი
დაგვიუნჯეს მათ ჩვენ ქართველებს და ზოგიც სხვებს, გარ-
მიანელებს, მაგ., ,,ბალავარი“, მოთხრობა „კოსტანტინეპო-
ლის გარემოცვა სკვითთა მიერ 626 წელს" და მრ. სხვა
ტყავზე დაწერილი ძეგლი თუ ხუროთმძღვრული სხუკუნო
ნაშთი... აქ ვურთავთ მოკლე ცნობას მესხეთის ზოგიერთ
ძეგლ-ნაშთების შესახებ.

4. სახსოვრები ქვეყნისა:

ა. ქალაქები .

ართვინი=ართვანი (ოსმალ. ლივანე) მცირე ქალაქი
ჭოროხის მარცხენა კიდეზე, ბათომს შორავს 80 ვერსით.
სახლები ფერდობებზეა მიფენილი. მცხოვრებთა უმეტესი ნა-
წილი, როგორც თვითონვე ამბობენ, შემოხიზნულა ქალაქ
ანის ნანგრევიდამ. ართვინის ეკლესიაში, რომელიც სომ-
ხებს ეკუთვნის, არის ტყავზე დაწერილი ქართული სახარება.

არტაანი=არტანისა. ააშენაო მცხეთოსის შვი-
ლმა ჯავახოსმა „ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არ-
ტანისა, რომელსაც მაშინ ერქვაო ქაჯთა-ქალაქი, აწღა ჰქვიან
ჰური“. (ქ. ცხ. 20). პომპონი მელა (15-60 წ. ქრ. შ.)
იხსენიებს მასსაგეტებს (=ალანებს-ოსებს), ქაჯებს, ჰირკა-
ნებს (=ჯურჯანებს) და ივერებს (ჰან, 97). პტოლომეოსით
(120-170 ქრ. შ.) Artanissa ივერიის ქალაქია (იქვე 169)
აქ იჯდა ერისთავი არტან კოლისა. ქალაქს აქვს მაგარი ცი-
ხე. დაიპყრეს ოსმალებმა 1530 წელს. აწ ჰქვიან არდაგანი.

არტანუჯი. ვახუშტი: „არტანუჯი ქალაქი მცირე და
ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს ააშენა გორგასალმა, შემდგო-
მად შემუსრა მურვან ყრუმ, მერე ააშენა და განაახლა აშოტ
კურატპალატმა და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე პავ-
ლესი: მოკლეს მასშინავე და დაფლეს მუნვე. არს არტანუჯს
ეკლესია გუმბათიანი, კეთილ დიდ-შვენიერ ნაგები. ეს იყო

მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქავ არტანუჯს აღა-
შენა გორგასალმა მონასტერი **მერისა**, **შინდობისა** და
ახიზისა, ფრიად შვენიერნი. კვალად ქმნა ახიზს ქვაბნი
კლდისა გამოკვეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუალნი".
ხსენებული მეფე აშოტი იმყოფებოდა ტფილის-ბარდავს.
ქსანზედ ძლიერად გაიმარჯვა არაბებზე. ამათ მაშველად ლა-
შქრით წამოვიდა ხალილი. აშოტი წავიდა არტანუჯს, გაა-

მაგრა ციხე, ციხის ძირს ააშენა ქალაქი. მას შემოეპარნენ სარკინოზნი და დაჰკლეს ტაძარში 826 წელს. მისი ჯარი მაშინ იყო დოლისყანას. გამოედევნენ სარკინოზებს და ამოსწყვიტეს სულ-ერთიან.

ახალქალაქი ჯავახეთშია. ააშენა ბაგრატ III († 1014წ.), ხოლო მისი ციხე ბაგრატ IV-მ 1045 წელს, 1807 წელს გუდოვიჩი მიესია მას, მაგრამ 1130-მდე მოლაშქრე დაჰკარგა და უკან დაიხია. იგი აიღო პასკევიჩმა 1828 წ.

ახალციხე (ოსმალურად-ახსიხა) ფოცხოვის ნაპირზე, იყო დედა ქალაქი ზემო ქართლისა ზღუდით და მაგარი ციხით, რომელსაც წინათ ერქვაო ლომსია. სარგისი იყო პირველი დამოუკიდებელი ათაბაგი (1306 – 1334) ახალციხისა და ზემო ქართლისა ანუ საათაბაგოსი. ახალციხე 1828 წ. აიღეს რუსებმა.

აწყური (სოსანგეთი) ციხე-ქალაქი ეკლესიით. აქ ეკლესია დააარსაო ანდრია მოციქულმა მაშინ, როდესაც აქაურობის მთავარი იყოო ქვრივი სამძივარი. აწ ეკლესია მთლად დანგრეულია.

ბათომი=ბათუმი ანუ Bata სტრაბონით (I საუკ.) შავის ზღვის პირად უკეთეს ნავთსაყუდელით. ვახუშტი: „ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი". 1437 და 1474 წლებში მას ჰფლობდა სა-

მეგრელოს მთავარი (ბარბარო, კონტარინი), I547 წელს ოსმალებმა წაართვეს იგი გურიელს და ძლიერი ციხე ააგეს, ხოლო რუსებმა დაიპყრეს 1878 წელს. მას აქეთ ქალაქი გადიდდა, გამშვენიერდა.

ბაიბურთი არს ყოველგნით მთით მოხვეული და თვითცა მთა. ამას შინა დის ისპირის მდინარე. ამ წყალზედ, შუას ადგილს არს ქალაქი ბაიბურდი, არა დიდი, და არიან აწ სრულიად მოსახლენი მაჰმადიანნი, მცირედ თუ ვინმე ქრისტიანენი (ვახუშტი).

ბარალეთი მცირე ქალაქი ჯავახეთში.

გოკია მცირე ქალაქი ჯავახეთში მრავალის ნანგრევებით.

გონია მცირე ქალაქი ჭოროხის მარცხენა კიდეზე ბათომის პირდაპირ. ოსმალებმა აქ ციხე ააშენეს 1547 წელს.

თმოგვი, ჯავახეთის ქალაქი, რომელიც ვახუშტის დროს წარმოადგენდა მხოლოდ დაბას. თმოგვს, კლდეზე, მაგარი ციხეა, ბაგრატ III საქართველოს განმაერთიანებელმა იმპერატორმა, ამ თმოგვის ციხეში ამოალპო ქვეყნის გამთიშავი მთავრები. აქაურივე იყო დიდებული სარგის თმოგველი, „ვის-რამინის“ მთარგმნელი.

თუხარისი ციხე შავშეთში, ტბეთის პირდაპირ, ჩრდილოთ კერძ, ააშენაო ოძრახოსმა, ხოლო მირდატ მეფემ (364 – 379 წ.) მასში ააგო საყდარი. ეს დაანგრია მურვან ყრუმ, მაგრამ განაახლა ტბეთის ეპისკოპოსმა. აქაურები არიან აზნაურები – თუხარელები.

ისპირა მცირე ქალაქი ისპირის მდინარეზე , რომელიც გამოსდის ტრპიზონის ანუ ჭანეთის მთას და ერთვის ჭოროხს. ამას იხსენიებენ ჯერ ისევ ჰეროდოტე (480-426 წ. ქრ. წ.), სტრაბონი და სხ.

იშხნისციხე, ართვინს ზევით, ფრიად მაგარი. დიდშენი; ამას ზევით ჭოროხზედ არს ხვარამზეს ხიდი ქვიტკირისა მრავალ-თვალი, შვენიერად გებული (ვახუშტი).

კალმახი ციხე, დიდშენი, მაგარი და შეუალი იყო საერისთო ტაოსი. ქ. ცხ. 181: „ მას ჟამსა (მურვან ყრუს დროს რომ ყველანი კავკასიონისკენ მოდიოდნენ დასამალად) პიტიახშნი ვინმე არ შეუშვნეს კლარჯეთს სახლად (დედანშისახვად) და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქვა კალმახი, და აღაშენეს ციხე.“

კოლა ციხე-ქალაქი ჯავახეთს. კოლას იხსენიებს ჯერ ისევ ჰეკატე (მე VI საუკ. ქრ. წ.). აქედგან იყვნენ ცხრანი ძმანი კოლაელნი, რომელთა ცხოვრება პლატ. იოსელიანმა მოიტანა საქართველოს 1849 წელს. ხოლო ეხლა ხანს დაბეჭდა მარმაც.

ოლთისი. ქალაქი კარგი და კეთილ ჰაოვანი. აქ არს ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომად ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე (ვახ.).

ოძრახე, მთის ძირში, პანტნოვანის ხევის ზევით, ქალაქი და ციხე, აშენებული ოძროხოსის მიერ. ვახუშტის დროს გაოხრებული იყო. ამის ცოტა ქვევით, ოცხეს არს წყაროს წყალი აბანოდ. ჰკურნებს ქარით დახუთულს, მუწუკს, ბუგრს (ვახ.)

ქობულეთი. არს ქობულეთი ზღვის პირს მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამხრით ჩაქვისწყალზე, ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი. აქვს გვირაბი კლდე გამოკვეთილი გზად.

ქედა. აჭარის წყალზე, ხეობის საშუალს არს მცირე ქალაქის მგზავსი დაბა ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი (ვახუშ., 225)

ყველისციხე ჯაყის წყალზე ძლიერი სიმაგრე კლასიკურ მწერლების მიერ წოდებული ძუელად (ჰან, 2-3). მეათე საეკ. დამდეგს ამირი აბულ-კასიმი მფლობელი სპარსეთისა, 60 დიდდიდ ქალაქისა, უფალი 7-თა მეფეთა, შემოიჭრა საქართვე-

ლოში ლაშქრით, 100ის აქლემის საპალნე ისრით და 100 საპანე შუბით და შემოერტყა ყველის-ციხეს, რომელშიაც გამაგრებული იყო გობრონი. მხნედ იბრძოდნენ მეციხოვნეები. მაგრამ ბოლოს დამარცხდნენ. მტერმა აიღო ციხე და დაბრუნდა, ხოლო მის შიშით, ვიდრე იგი მოვიდოდა, ყველისცი-

ხის არე-მარეს ქართველობა შეიხიზნა აჭარაში, რომელიც ისე გაივსოო ხალხით, რომ ერს შემოაკლდაო საზრდო და ბევრნი ბალახეულობით იკვებებოდნენო, სწერს სტეფანე მტბევარი გობრონის ცხოვრებაში (გვ, 396)

ბ. საყდრები.

1. ოპიზი (ალბად ოპისი, უბისი) ანუ ნათლისმცემელი. ეს დიდი მონასტერი ააშენეს მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში ამონამ, ანდრიამ, პეტრემ და მაკარიმ. აქვე მოღვაწეობდა შიო-მღვიმელის მოწაფე მიქელი, რომელმაც თავისთვის კლარჯეთის კლდეებში ააშენა ეგვტერი ანუ პარეხი. ამ მიქელის მოწაფე იყო სერაპიონი, ზარზმის ამგებელი. ოპიზის შორი-ახლოს აშენდნენ სხვა დიდებული მონასტრებიც. 1054 წელს ოპიზლებს) და მიჯნაძორელებს აუტყდათ ცილობა მამულების თაობაზე. ოპიზელები თავის უფლებას ამყარებდნენ სიგელზე, რომელიც მათთვის მიებოძა გურამ მამფალს (†883 წ.). ოპიზი, მიჯნაძორი ფრიად მდიდარ და დასახლებულ იყვნენ მე-XIII საუკუნეშიაც (ქ. ცხ. 404).

2. ანჩა. ეს ის ადგილია, საცა არდრია მოციქულმა (I საუკ.) დაასვენაო მაცხოვრის ხატი. „ანდრია იგი, მოციქულთა პირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა, იდიდებოდენ ყოველთაგან უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა! იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩვენ, მოსავთა მისთა, მოგუანიჭა“. იქაური ღვთაების ხატი (VII ს.) დღეს ასვენია თბილისის ანჩისხატის საყდარში, სიგრძით არის ერთ ნახევარი ალაბი, სიგანით I ალაბი. ძვირფასად შემკულია დიდრონ და

ფას-დაუდებელ თვლებით. უკანასკნელად იგი შეუმკია ეპისკოპოს იოვანე რკნაელს თამარ მეფის დროს. მისი მოჭედილობა ეკუთვნის ბექას.

ხანძთა ანუ ხანძცთა. აქ განითქვა დიდებული გრიგოლ ხანძთელი (759 – 861 წ.). იგი იყო ქართლელი. აღიზარდა ნერსე ერისთავის სახლში ამ ერისთავის მეუღლის ხელით. ამ ქალის ძმისწული იყო და ამასვე ეშვილა იგი. პატარაობითგანვე ბერად შეყენებულმა მალე დაისწავლა „დავითნი და ხმით სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოძღვროჲ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართა, ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისაჲ ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად... სიტყვაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა: რაჟამს იტყვინ, ბრძნად აღაღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა“. მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა უნდოდათ, მაგრამ არ მოინდომა დიდება ამ სოფლისა. შეიპირა თვისი დედის დისწული საბა (შემდეგში – იშხნის მეორე მაშენებელი და ეპისკოპოსი), ნეძვის მაშენებელი და მამჲ თეოდორე და კვირიკეთის. მაშენებელი და მამაჲ ქრისტეფორე და მათთან ერთად ქართლით წავიდა ოპიზას და მერე ხანძთას, საცა მაშინ იყო

მეუდაბნოე ხვედი: მოეწონა ადგილმდებარეობა და ააგო საყ-
დარი, სადასაყუდებელო, სენაკები, მოიწვია მოღვაწენი,
თვით დადგა მონასტრის მამად და მალე სახელი გაითქვა
მთელს საქართველოში. მის ხელქვეშ გამოიზარდა არა ერთი
მოღვაწე, მათ შორის **არსენი** დიდი, რომელიც გრიგოლისა-
ვე რჩევით სასულიერო და სახორციელო კრებამ ამოირჩია
კათალიკოსად სრულიად საქართველოისა, აწყურის ეპ. **ეფრემ**,
იშხნის ეპ. **საბა**, მერეს მონასტრის დედა **ფებრონია** და სხ.
ხანძთისათვის აშოტ მეფისაგან შეწირულ აგარასაც განაახლა
აგარიანთა შემოსევის დროს გაოხრებული შატბერდი, ააგო

სხვა მონასტრებიც, წავიდა აფხაზეთშიაც და იქაც ააგო მო-
ნასტერი. ყველგან გააჩაღა მწიგნობრობა და სიცოცხლე.
ხანძთა ხომ შეიქმნა ქართველთა იერუსალიმად.

მონასტრების მიწა-წყლის შესახებ ასე მეტ-
ყველებს თვით გრიგოლი (იხ. მისი ცხოვრება: ნ. მარრის გამოც.):

„ბუნებით ერთგვამ არს ქვეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად
შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხე შესწვავს
მათ და არცა გარდარეული (=ნამეტანი) სიცივე შეაურვებს მყოფთა
მისთა, არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორ-
შაკოჲ, უმიწოჲ, მზუარ§, რამეთუ კაცთა ნახჭნი(=ტერფნი) ფერხთანი
არაოდეს თიხიან იქმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი, და
შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა
ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ ბუნებით მხიარულე-
ბაჲ მოცემულ არს ღვთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურ-
თით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მათთა შინა
მაღალთა არს მკვიდროებაჲ მათი და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ
იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლ-
ვაჲ გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა და ესრეთ ყოვლისა კერძო
შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნებისა და წყალთა მათგან საში-
ნელად ძნელოვანთა ადგილსა მავალთაჲსა. და მონასტერთა მათ შინა
არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი, არამედ დიდითა შრო-
მითა როჭიკისა მისლვაჲ აქვს კარაულისა ზურგითა, და მცირედ ვენახ-
ნი ჭირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალ-
თა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხვი“...

4. ზარზმა. ეს დიდებული მონასტერი ააშენა სერაპიონ
ზარზმელმა, შიო-მღვიმელის მოწაფის მიქელის მოწაფემ.
ყოვლისფრით შემკული შენობაა, მაგრამ აწ ოხრად ჰგია (იხ.
სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ჩვენს წიგნში „ქართული
მწერლობა“).

5. იშხანი მეორედ განაახლა გრიგოლ ხანძთელის დის-
წულმა საბამ, რომელიც მის ეპისკოპოსად შეიქმნა. იშხნის
დედნით დაწერილია მეათე საუკუნეში წმ. დედათა ცხოვრე-
ბანი გაბრიელ პატარაიას მიერ (№ 95). ვახუშტი სწერს:
„არს იშხანს ციხე ფრიად მაგარი, დიდშენი, და ეკლესია

გუმბათიანი, დიდშვენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი.

მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა ვიდრე ტრაპი-ზონის მთამდე და აწ ცარიელ არს:

6. დოლისყანაში დიდებული საყდარი ააგო მეფე სუმ-ბატმა († 958 წ.). იმისი წარწერა: ქრისტე, ადიდე მეფე ჩვე-ნი სუმბატ მზეგრძელობით“. საყდრის წინა კედელზე გამო-ქანდაკებულია ზხის საათი.

7. ბანა ააშენა მეფე ადარნასემ (881 – 993) კვირიკეს ხელით და ეს კვირიკე ეკურთხა ბანის ეპისკოპოსად. აქ ჰმარხია მეფე ვახტანგი († 1445 წ.) და მისი ცოლი სითი-ხათუნ. ხელში გვაქვს აქ დაწერილი წიგნი (№1) ბრძანებითა ზაქარია ბა-ნელისათა.

8. ხახული თორთომის მდინარის ნაპირას. მასში მო-ღვაწეობდნენ ბაგრატის შვილი ბასილი, მამა ილარიონ თუა-ლელი, ტაოსკარელ დავით კურატპალატის მწიგნობართ უხუ-ცესი გიორგი. აქვე აღიზარდა საქართველოს შვენება – გიორ-გი მთაწმინდელი.

9. ეოშხი დააარსა მეფე ადარნასემ (888 – 923) და შეა-მკო ჯოჯიკმა. ამან და ცოლმა მისმა აღზარდეს ხსენებული ჩვენი სიამაყე გიორგი მთაწმინდელი.

10. პარხალი საკვირველად აგებული ტაძარია, დაყრ-დნობილი მსუბუქ და მაღალ სვეტებზე, შორიდამ გამოიყუ-რება როგორც ორ სართულიანი შენობა. მასში მოღვაწე-ობდა მრავალი ჩინებული ქართველი, ბევრია აქ ტყავზე და-წერილი წიგნი, მაგალ. № 95 , შრომა გაბრიელ პატარაია-ასი. დიდებული ბერაის და მის ნათესავის მიქელ მოდრეკი-ლის ქრისტომატიები შედგენილია ამ პარხალის მონასტერში. ხანძთა, პარხალი, ხახული – ეს იყო ქართველთა იერუ-სალიმი, საქართველოს განმანათლებელი ბრწყინვალე აკადემი-ასებრი კერიები.

11 ტაძრისი, ახალციხის ახლოს, დედათ მონასტერი. აქ

მსახურებდა გიორგი მთაწმინდელის და საბიანა, რომელმაც თავისს ძმას შეასწავლა ქართული ანბანი და მერე წარუ-გზავნა აღსაზრდელად თავის ბიძებს გიორგის და საბას, ხახუ-ლის მოღვაწეთ.

12. ტბეთი. „აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურ-გენ კურატპალატისამან († 891 წელს), რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა **ტბეთი** შავშეთს, და განასრულა იგი ყოვ-ლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატ-რელი სტეფანე.“ აშოტ კუხი † 918 წელს. აქ მოხსენებული სტეფანე ფრიად განათლებული კაცი იყო და ითვლებოდა სასულიერო მწერლობის ცენზორად. მან დიდ-შვენიერად დასწერა გობრონის ცხოვრება. ტბეთი დიდებული შენობაა, მაგრამ აწ გაუქმებულ-გავერანებულია. მასში ჰმარხია თვით აშოტ კუხი. მიქელ მოდრეკილის საგალობო დიდ წიგნში შენახულა სურათი ტბეთის მეორე ეპისკოპოსის წმ. იოვანესი მის მიერ გამოთქმულ გალობებითურთ. 1028 წელს ტბეთი

შეიმოსა განსაკუთრებულ შარავანდედით. სწორეთ ამ წელს ბერძენთ იმპერატორი დიდის ლაშქრით შემოესია საქართველოს. ბაგრატ მეფე მაშინ ცხრა წლის ყრმა იყო. მას განუდგნენ ზოგი ერთი ბეცი ქართველები და მიემხრნენ ბერძნებს. მაგრამ მამულის თავისუფლებისთვის თავი გამოსდო ტბეთის მაშინდელ ეპისკოპოსმა საბამ.

ტბეთის შესავალში წარჩინებულ მამულიშვილთა დახმარებით საბამ ააშენა სიმაგრე-**სვეტი,** ჩადგა შიგ მოიწვია ეზრა ანჩელიც, შემოიმაგრა შავშეთი და აზნაურებთან ერთად სასტიკი ბრძოლა აუტეხა მოსეულ მტრებს. ბევრი იბრძოლეს ამათ, ბევრი ძალღონე შეალიეს სვეტის დაპყრობას, მაგრამ ძრა ვერ უყვეს თავისუფლების სვეტს. ბოლოს ლიქნა-ქადებასაც მიჰმართეს, რათა მოისყიდონ ციხის მცველები, მაგრამ ვერას გახდნენ. თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველები ერთურთს ამხნევედნენ სიტყვებით:

– 23 –

„ნუმცა შეგვიტყუებენ ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი. მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გვირგვინი ახოვნობისა, სიკვდილად გავსწიროთ თავნი თვისნი“.

ბოლოს მტერი მოიღალა ამაო ბრძოლით და გაშორდა, საქართველოდამაც მთლად გავიდა.

და ასე, ნათლით მოსილ საბამ „დაიჭირა ქვეყანაჲ შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ მეფისა და ღმერთმაც პატივ-სცა და ვერ წარუღეს ქვეყანა მტერთა“.

— —

ჯერ-ჯერობით ვასრულებ ჩემ წერილს ამ მოკლე განხილვით და თანვე ვურთავ მგოსნის მოწოდებას:

„ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა მამულის განმადიდეთა“.

— —

საჭიროა საქართველოს ნაწილების შესწავლა ყოველ მხრივ, იმ გეგმით მაინც, რომელიც ჩვენ საფუძვლად დავუდეთ ჩვენს შრომას „საინგილო“. ხოლო აგეთ შრომას ადგილობრივ მცხოვრებელზე უკეთესად ვერავინ შეასრულებს. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს და მის მეყვისებს მივმართავ თხოვნით, შეასრულონ ჩვენი გულითადი წადილი და მოგვცენ თავიანთ მოჭირნახულე და ბრწყინვალე სამშობლოს ვრცელი აღწერა.

მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები ყველა ღვიძლი ძმები ვართ. ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და პატიოსანის შრომით აღვაყვავილოთ ჩვენი მარად მზიანი ტურფა სამშობლო.

მ. ჯანაშვილი.

მესხეთი